



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 79

26/06/2017

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

ევროსტატისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის 2013 წლის გლობალური შეფასების რეკომენდაციებიდან გამომდინარე,

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N406 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს საქსტატის ვებგვერდზე, კანონმდებლობის ნაწილში.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში

მიზნები

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ოფიციალური სტატისტიკის წარმოების შედეგად მიღებული საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება, კერძოდ:

- განსაზღვროს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების სტრუქტურა, ვადები და პირობები;
- უზრუნველყოს დაკვირვების ერთეულების შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობა;
- გაამარტივოს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ფაილებზე ხელმისაწვდომობა;
- ხელი შეუწყოს კვლევებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების უფრო ფართო გამოყენებას;
- დახმარება გაუწიოს მკვლევარებს.

პოლიტიკის მოქმედების არეალი და გასავრცელებელი ფაილების ტიპები

პოლიტიკის ეს დოკუმენტი მოიცავს შინამეურნეობებიდან და საწარმოებიდან, ისევე როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში საქსტატი) მიერ ჩატარებული აღწერებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე წარმოებულ საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ფაილებს. ეს არის ფაილები, რომლებშიც წაშლილია ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორი, როგორცაა, მაგალითად, პირადი ნომერი, მისამართი და სახელი. ექსტრემალური მნიშვნელობები და მსგავსი არაპირდაპირი იდენტიფიკატორები კი მოსწორებულია შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს რესპონდენტების გარკვეული მახასიათებლების ჩახშობა, ან გეოგრაფიული დეტალიზების შემცირება.

გამჟღავნების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად ყველა ფაილი სათანადოდ არის ანონიმიზებული. ფაილები ვრცელდება ზოგადი გამოყენებისთვის და ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე.

კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტსა და 28-ე მუხლში განსაზღვრულია შემდეგი:

„მუხლი 4. ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები

ვ) კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება;“

„მუხლი 28. სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა

1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა.

2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი

მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.“

ამგვარად, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის“ ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებით და, კანონის თანახმად, საქსტატი ვალდებულია დაიცვას რესპონდენტებისგან მიღებული ინდივიდუალური მონაცემების კონფიდენციალურობა. სტატისტიკური მიზნით შეგროვებული ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, არის კონფიდენციალური.

სახელმწიფოს პოლიტიკა პერსონალურ მონაცემთა გავრცელების მიმართ

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონთან ერთად, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას ემსახურება აგრეთვე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ უკანასკნელის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის – პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი არის თანამდებობის პირი, რომელიც ზედამხედველობს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას და ახორციელებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს, მასვე ევალება მონაცემების დამუშავებისას ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა.

მთავრობის არსებული პოლიტიკის მიზანია დაიცვას ყველა პერსონალური მონაცემი, გარდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ქონებრივ დეკლარაციაში ასახული ინფორმაციისა.

ანონიმიზების დონე

მონაცემთა ფაილების გამოქვეყნებამდე ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორი უნდა იქნას ამოღებული. მონაცემთა ტიპებიდან გამომდინარე მიდგომა განსხვავებულია. კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად, შესაძლებელია ორი ტიპის ანონიმიზებული ფაილების წარმოება. მათ შორის განსხვავება გეოგრაფიული და მახასიათებლების დეტალიზების დონეებშია.

- ფაილები, რომლებსაც გააჩნიათ ნაკლები გეოგრაფიული დეტალიზება და მეტი ცვლადი (მაგალითად, გეოგრაფიული დეტალები მთლიანად ამოღებულია, დაფარულია ან გამსხვილებულია, სამაგიეროდ მეტია ცვლადების დეტალიზაცია);
- ფაილები, რომლებსაც გააჩნიათ მეტი გეოგრაფიული დეტალიზება, მაგრამ ცვლადები ნაკლებად დეტალიზებულია.

ცვლადების დეტალიზების ჩახშობა შეძლებისდაგვარად ნაკლები უნდა იყოს. **საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების საკოორდინაციო კომისიის** (იხ. ქვემოთ) უფლებამოსილებაში შედის იმ ცვლადების ნუსხის განსაზღვრა, რომელთა ჩახშობა ან გამსხვილებაც უნდა მოხდეს გამჟღავნების რისკების გათვალისწინებით.

გამჟღავნების რისკის შემცირება

გამჟღავნების რისკის შესამცირებლად სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. ეს მეთოდებია:

- ხელახალი კოდირება (ზუსტი რიცხვების ნაცვლად ინტერვალების მითითება, შემოსავლების ზედა ზღვრის კოდირების მსგავსად);
- ცვლადების ჩახშობა (ყველა ერთეულისთვის);
- ადგილობრივი ჩახშობა (ცვლადზე გამოუქასუხებლობის მითითებით ან იმპუტირებით);
- სრული მოცვის ნაცვლად შერჩევის გამოყენება;
- გაერთიანება მიკრო დონეზე (როდესაც ჯგუფებში საშუალო სიდიდეები გამოიყენება);
- ხმაურის დამატება (პერტურბაცია შემთხვევითი განაწილების მეთოდით);
- მიკრო დონეზე დამრგვალება;

- პოსტ-რანდომიზაცია (იშვიათი კატეგორიების შემთხვევითად შეცვლა);
- მონაცემების გადანაცვლება (მსგავსი მახასიათებლების მქონე ჯგუფში მონაცემებისთვის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შეცვლა).

გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების დაცვამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა არასასურველი შედეგი, მაგალითად, როგორცაა შერჩევითი შეცდომა და/ან წანაცვლება. ასევე დაცვის შემდგომ საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების სარგებლიანობა შესაძლებელია იყოს გაცილებით მცირე, ვიდრე თავდაპირველი მონაცემების.

მონაცემების გამჟღავნების რისკები

შემდგომების დაგვარად თავიდან უნდა იქნეს აცილებული პოტენციურად ექსტრემალური (ამოვარდნილი) მნიშვნელობების და ძალიან დეტალიზებული მონაცემების გავრცელება, რადგან ორივე შემთხვევა კონფიდენციალური მონაცემების გამჟღავნების რისკთან არის დაკავშირებული.

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების მომხმარებლები

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემები ძირითადად განკუთვნილია ისეთი მომხმარებლებისთვის, როგორცაა:

- საჯარო მოხელეები და სამინისტროების და სხვა საჯარო უწყებების მიერ დაქირავებული მკვლევარები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თვითმმართველობების, რეგიონების და ეროვნულ დონეზე სტრატეგიების და პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაზე, რაც აგრეთვე გულისხმობს აღნიშნული პროგრამების შესრულების კონტროლსა და შეფასებას;
- საერთაშორისო დაწესებულებები, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევებში, რომელთა მიზანია მათი საქმიანობის სფეროებში დახმარებისა და განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- კვლევითი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ კვლევებში არიან ჩართული;
- პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებიც ძირითადად საგანმანათლებლო სფეროში არიან ჩართული;
- სხვა მომხმარებლები, რომლებიც სამეცნიერო კვლევებში არიან ჩართული.

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემთა ფაილების მომხმარებელთა რეგისტრაცია

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემებზე წვდომის მსურველმა ყველა მომხმარებელმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია საქსტატის ვებსაიტზე. საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და მათი ჩამოტვირთვა შეუძლიათ იმ პირებს, ვინც რეგისტრაციის ფორმაში მიუთითებს მონაცემების გამოყენების მიზნებს და ეთანხმება მათი გამოყენების პირობებს.

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების საკოორდინაციო კომისია

საქსტატში უნდა ჩამოყალიბდეს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების საკოორდინაციო კომისია (შემდგომში უბრალოდ კომისია). კომისია პასუხისმგებელია ანონიმიზებული საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელებაზე. კომისიამ უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

- განსაზღვროს გასავრცელებელი საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ჩამონათვალი. განიხილოს პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორები თითოეული კვლევისა თუ აღწერის მიხედვით, მონაცემთა გავრცელების ვადები და საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

- განიხილოს საქსტატის ვებსაიტზე საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ცალკეული ფაილების განთავსების მიზანშეწონილობა;
- უზრუნველყოს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება და მათი მიწოდება ინფორმაციის დამუშავებით დაკავებული სტრუქტურული ერთეულებისთვის;
- საჭიროების შემთხვევაში გადასინჯოს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ანონიმიზებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტები;
- უზრუნველყოს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ყველა კომპლექტის დოკუმენტირება და მათთან დაკავშირებული მეტამონაცემების ხელმისაწვდომობა.

კომისიის შემადგენლობაში შედიან: საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეები, ყველა სამმართველოს უფროსები, სტატისტიკურ მეთოდოლოგიაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და იურისტი. ამ უკანასკნელის კონსულტაცია აუცილებელია მაშინ, როდესაც კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები ვერ რეგულირდება უკვე არსებული წესებით. საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ვებსაიტზე ატვირთვაზე საბოლოო თანხმობა უნდა გასცეს კომისიამ.

საქსტატის ვალდებულებები

საქსტატი ვალდებულია:

- დაიცვას სტატისტიკურ ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- უზრუნველყოს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ანონიმიზება;
- დაიცვას საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების წარმოების პირობები;
- უზრუნველყოს მეტამონაცემების მომზადება და მათი გავრცელება საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემებთან ერთად;
- უზრუნველყოს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემებთან ყველა მომხმარებლის თანაბარი წვდომა.

მომხმარებელთა ვალდებულებები

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გამოყენებისას მომხმარებლებმა უნდა დაიცვან შემდეგ პირობები:

- საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ სტატისტიკური, ან სამეცნიერო მიზნებისთვის;
- საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ აგრეგირებული მონაცემების მისაღებად და არა ცალკეულ სტატისტიკურ ერთეულზე ინფორმაციის დასადგენად;
- დაუშვებელია საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების საშუალებით სტატისტიკური ერთეულის იდენტიფიცირების მცდელობა;
- დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქსტატს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემებიდან სტატისტიკური ერთეულის უნებლიე გამჟღავნების შემთხვევის შესახებ.

საფასური

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში მიღებული საჯარო სარგებლობის სტანდარტული მიკრომონაცემები მომხმარებლებისთვის უფასოა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მომხმარებელი მოითხოვს დამატებით მომსახურებას: კერძოდ, მონაცემთა დაჯგუფებას, გადაჯგუფებას, დანაწევრებას, გაერთიანებას, ფორმატის შეცვლას და სხვა მომსახურებას, რომლებიც საჭიროებენ დამატებით დროით და ადამიანურ რესურსებს. ასეთი მომსახურებების ჩამონათვალი და მათი საფასური უნდა განისაზღვროს საქსტატის საბჭოს მიერ.

საავტორო უფლებები

მომხმარებელმა უნდა დაიცვას საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემებზე საქსტატის საავტორო უფლება და მათ შორის საავტორო უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით. მომხმარებელმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს მითითება. დაუშვებელია საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების მესამე პირისთვის გადაცემა. მომხმარებელმა საქსტატს უნდა მიაწოდონ საბოლოო ანგარიშის, ან სტატის ასლები (ნაბეჭდი ან ელექტრონული).

დათქმა

საქსტატი პასუხისმგებელი არ არის ინფორმაციის მომხმარებლების და ნებისმიერი სხვა მხარის მიერ მისი მონაცემების გამოყენების შედეგად მიყენებულ ზარალზე, ზიანზე ან სხვა არასასურველ შედეგებზე, მათ შორის დროის, ფულის, რეპუტაციის და სხვა რესურსების დანაკარგზე. თავის მხრივ, მომხმარებელმა უნდა აარიდონ საქსტატი ნებისმიერ პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს მათ მიერ მონაცემების არასწორად გამოყენებას. საქსტატი აგრეთვე პასუხისმგებელი არ არის მომხმარებელთა მიერ არასწორად დამუშავებულ და ინტერპეტირებულ აგრეგირებულ მონაცემებზე.

პოლიტიკის გადახედვა

მოქმედი კანონმდებლობის და ასევე ტექნოლოგიების განვითარებიდან გამომდინარე და კვლევების და შეფასებების საფუძველზე (მაგალითად, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის), საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა პერიოდულად გადახედვას ექვემდებარება.

დანართი: ტერმინების ლექსიკონი

აგრეგირებული მონაცემები

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების კომბინაცია (მაგალითად, ჯამი), რომელიც მათი დამუშავების შედეგად მიიღება.

ანონიმიზება

„ანონიმიზება“ გულისხმობს მონაცემთა დამუშავებას ისე, რომ კვლევის მონაცემებიდან ამოღებული იქნეს ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორი, რათა ინდივიდუალური რესპონდენტების იდენტიფიცირება გამოირიცხოს.

ანონიმიზების დონე

ამ დოკუმენტის თანახმად მოხდება ორი ტიპის ანონიმიზებული ფაილების წარმოება. მათ შორის განსხვავება გეოგრაფიული და მახასიათებლების დეტალიზების დონეებშია. რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდება გეოგრაფიული და/ან ცვლადების დეტალიზების ჩახშობა რესპონდენტის კონფიდენციალურობის დასაცავად.

ანონიმიზებული საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემთა ფაილები

გავრცელების მიზნით ანონიმიზებული საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემთა ფაილები.

არაპირდაპირი იდენტიფიკატორები

მახასიათებლები, რომლებიც საერთოა რამდენიმე რესპონდენტისთვის და მათი სხვა მონაცემებთან კომბინირებით შესაძლებელია რესპონდენტების ვინაობის დადგენა.

აღწერა

აღწერა არის კვლევა, რომელიც ტარდება დაკვირვების ერთეულთა მთელ სიმრავლეზე. ეს არის მთელი ერთობლიობის ან მასში შემავალი ჯგუფების სრული აღწერა წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით, დროის გარკვეული მომენტისთვის. აღწერის შედეგად შეგროვებული მონაცემები გამოიყენება მთავრობის, ბიზნესის, სოციალურ საკითხთა და სხვა მკვლევარების და ზოგადად მოქალაქეების მიერ, მათი ინტერესების შესაბამისად.

გავრცელება

„გავრცელება“ გულისხმობს საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემთა ფაილების გამოყენებისთვის ხელმისაწვდომობას საჭირო მეტამონაცემების თანხლებით.

გამოკვლევა

გამოკვლევა არის მეცნიერულ საფუძველზე მონაცემთა შეგროვება ცალკეული პიროვნებების, შინამეურნეობების, დაწესებულებების ან სხვა ორგანიზაციული ერთეულების შესახებ, რომლებიც გენერალური ერთობლიობიდან შერჩეული დაკვირვების ერთეულების გამოკვლევის საშუალებით მოიპოვება.

მეტამონაცემები

ცვლადების და მონაცემთა სიმრავლის დეტალური აღწერა მომხმარებლებისთვის. რაც მოიცავს: წყაროს აღწერას, გაანგარიშების მეთოდებს, მეთოდოლოგიას, დროის განზომილებას, და გაანგარიშებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას და პიროვნებას.

პირდაპირი იდენტიფიკატორები

მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა: სახელი, მისამართი და სხვა პირდაპირი პერსონალური იდენტიფიკატორი. ყველა პირდაპირი იდენტიფიკატორი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი ყველა ფაილიდან უნდა იქნეს ამოღებული.

საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების ფაილები

ამ პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემთა ფაილები განისაზღვრება როგორც შინამეურნეობების და დაწესებულებების გამოკვლევებიდან და აღწერებიდან მიღებული ჩანაწერები, რომლებიც აღწერენ დაკვირვების ერთეულებს, როგორცაა: შინამეურნეობა, ცალკეული პიროვნება, დაწესებულება, სასოფლო მეურნეობა და ა.შ., და რომლებიც განკუთვნილია სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთათვის.

სტანდარტიზებული საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემები

ცალკეული კვლევის ან აღწერის მიხედვით საქსტატის მიერ წინასწარ მომზადებული საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემები.

სტატისტიკური ერთეული

სტატისტიკური კვლევის ობიექტი, რომელსაც გააჩნია სტატისტიკური მახასიათებლები. სტატისტიკური ერთეული არის კვლევაში სტატისტიკური დაკვირვების ძირითადი ერთეული.

სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა

გრძელვადიანი (როგორც წესი, წლიური ან მრავალწლიური) გეგმა, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ, რომელიც მოიცავს ჩასატარებელი სამუშაოების ნუსხას და ამ სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელ უწყებას, დაკვირვებათა სიხშირეს და შედეგების გავრცელების თარიღებს.